ცნობის ფურცელი

№ 2487 ოთხშაბათი, 5 მაისი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2487

გაზეთი ღირს: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში [illegible] დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლღა სტანისლავის ასული ფითოევისა, მარგარიტა ისაიას ასული ბელეცკისა, ნინო იაგორის ასული ტერ-მიკირტიჩიანცისა შვილებითურთ, ალექსანდრე, კონსტანტინე და ივანე იაგორის ძენი ფითოევები შვილებითურთ გულწრფელ მადლობას უძღვნიან ყველა იმათ, ვინც სამძიმარი გამოგვიცხადა და პატივი სცა

ისაია იაგორის ძის ფითოევის

ხსოვნას. (1—191—1)

ფოთის საქალებო სამ-კლასიან პროგიმნაზიაში

მისაღები გამოცდა დანიშნულია მაისის 19—25 რიცხვებში. თხოვნასთან უნდა იქნეს მეტრიკული მოწმობა დაბადებისა და მონათვლისა. (ნ. 10— 5)

სათავად-აზნაურო თეატრში

ხუთშაბათს, 6 მაისს, დილის წარმოდგენა დაკლებულის ფასებით.

ქართული თეატრის არტისტებისაგან კ. მესხის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება **ხალხის მტერი ანუ ექიმი შტოკმანი** დრამა 5 მოქ. იბსენისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი. დავითაშვილი, ნებიერიძე, გარელი; ბ.ბ. კ. მესხი, ივანიძე, შალიკაშვილი, სარჯველაძე, ხაშელი, ჯაბაური, საფაროვი, რომანიშვილი, გვარაძე, ბაქრაძე, კაჩაური, გელიკურაშვილი და სხვ.

დასაწყისი დილის 12 საათზე.

ფასები: ლოჟები 5 ადგილიანი 2 მ. 50 კ., პარტერი 30 კ. ვიდრე 1 მ. ქანდარა 10-დან 25 კ.

ანტრაქტებში საზანდარი დაუკრავს. რეჟისორი კ. მესხი. (3—1(

ტფილისის სახაზინო თეატრი

ამა წლის 9 მაისს გაიმართება წარმოდგენა ადგილობრივ რუსულ და ქართულ გაზეთების თანამშრომლის **დ. ი. კეზელის** სასარგებლოდ, რომელიც ამ ჟამად მძიმე ავად არის. წმინდა შემოსავლის 10⁰/₀ გადაიდება შორეულ-აღმოსავლეთის ბრძოლის ველზე მოკლულთა და დაჭრილთა ოჯახების შესაწევრად. წარმოდგენაში მონაწილეობენ, ს. ს. რასატოვის მეთაურობით, არტისტიულ საზოგადოების სცენის მოყვარულნი და ქართულ დასის არტისტები. წარმოდგენილი იქნება:

I. **„კრეჩინსკის ქორწინება“**, კომ. 3 მოქმ. სუხოვო-კობილინისა.

II. **„მომრიგებელ მოსამართლესთან“**, ქართული ვოდევილი 1 მოქმ. დ. კეზელისა.

რასპლიუევის როლს აასრულებს ს. ს. რასატოვი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ. ბ. ბ. მ. რ. გალლი, ვ. ვ. ფონ-შულმანი და ნ. მ. გაბუნია-ცაგარელი; ბ. ბ. ს. ს. რასატოვი, ვ. ა. აბაშიძე, ი. დ. კობიაკოვი, ფ. ვ. ბიჩკოვი, ნ. ნ. მაკაროვი, ა. დ. ამალინი, დ. ე. ეფიმოვიჩი, ი. პ. ნეჟდანოვი, ა. ა. ვიშნიაკოვი და სხვანი.

ადგილების ფასი—დრამატიულ წარმოდგენებისა. ბილეთების ყიდვა წინდაწინვე შეიძლება გაზეთ „ტიფლ. ლისტოკ“-ის რედაქციაში დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3-მდე და საღამოს 7-დან 9-მდე, ხოლო წარმოდგენის დღეს თეატრის კასსაში.

დასაწყისი 8¹/₂ საათზე. დაწვრილებით იხ. აფიშებში. (უ. 4—1)

ქართული თეატრი. სახალხო იაფ-ფასიანი წარმოდგენა

კვირას, 9 მაისს, ქართულის თეატრის არტისტების მიერ სცენის მოყვარეთა დახმარებით წარმოდგენილი იქნება ისტორიული პიესა

დიდი მოურავი, ანუ სააკაძე

ტრაგედია 5 მოქ. 16 სურათად, თხზ. ან. ფურცელაძისა

მონაწილეობას იღებენ: ქ ქ. დავითაშვილი, ჯავახიშვილი, რონელი, აფხაზიშვილი, ქართველიშვილი და სხ. ბ-ნნი ივანიძე, შალიკაშვილი, საფაროვი, ბაქრაძე, სარჯველაძე, მატარაძე, მჭედლიშვილი, გვარაძე, ბარველი, იორდანიშვილი, ლორთქიფანიძე, ჩიქავაძე და სხვ.

ადგილებისფასი დაკლებულია, დასაწყისი საღამოს 8 საათზედ. მ. კავსაძის ხორო შეასრულებს ქართულ სიმღერას.

გამგე შ. საფაროვი.

(2—1)

ოთხშაბათს, 5 მაისს, ქალთა პირველ გიმნაზიის სადგომში (შესავალი ბარონის ქუჩიდან), საღამოს 8 საათზე მოხდება პირველი კრება იმ პირთა, ვინც დააფუძნა **„პეტერბურგის საექიმო ინსტიტუტის და ქალთა უმაღლეს კურსების იმ მოსწავლეთა დამხმარებელი ტფილისის საზოგადოება, რომელთაც კავკასიის სამოსწავლო ოლქის საქალებო სასწავლებლებში გაუთავებიათ კურსი“.**

განსახილველი საგნები:

1) ახლად დამტკიცებულის წესდების წაკითხვა;
2) საწევრო ფულის რაოდენობის განსაზღვრა;
3) განსაზღვრა იმ ფულის რაოდენობისა, რომელიც ხელთ უნდა ჰქონდეს ხაზინადარს;
4) განსაზღვრა იმ შემწეობის რაოდენობისა, რომელიც მარტო თავმჯდომარეს შეუძლია გასცეს;
5) გამგეობის წევრთა რაოდენობის აღნიშვნა;
6) არჩევანი თავმჯდომარისა, ხაზინადარისა და მათის კანდიდატებისა;
7) სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევანი;
8) საზოგადოების ნამდვილ წევრთა არჩევნები.

საზოგადოების დამფუძნებელნი უმორჩილესად სთხოვენ ყველა იმათ, ვინც თანაუგრძნობს ქალთა უმაღლეს განათლების საქმეს, მობძანდნენ ამ კრებაზე. (უ. 1—1)

ოთხშაბათს, 5 მაისს, სამხედრო ოლქის შტაბის სადგომში მოხდება მორიგი კრება რუსეთის საიმპერატორო **საგეოგრაფო საზოგადოების** კავკასიის განყოფილებისა შემდეგის პროგრამით:

1) გ. თ. განის მოხსენება დიდ ლიახვისა და ქსნის სათავეებში მოგზაურობის შესახებ,
2) გ. ი. პოდოზერსკის მოხსენება „ჩერნომორის გუბერნიაში (ტუაფსესა და სოჩის ოლქში)“.

კრება საჯაროა. შესვლა უსასყიდლოა. (უ.2—2)

ბავშვების ექიმი

ა. ი. ბალარჯიშვილი

მიიღებს ავადმყოფ ბავშვებს ყოველ დღე დილით 10—12 ს. მიხეილის პროსპექტი ს. № 115 ნემცების კირკის გვერდზე. (30—178—6)

ტ ფ ი ლ ი ს ი ს

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11 ს.—12-მდე.

მ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირი 10—11 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინ. 10—11 საათამდე.

გ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშ. ოთხშაბ. და პარასკ. 11—12. საათ.

არ. გ. ხოგოლევსკი.—ხირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკ. 1—3 საათამდე.

პ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—2 საათ. ყოველ დღე.

გ. გ. ზანსვეტოვ —შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

ექ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საზებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. მ. ზონინი.—ქალისა, საზებიო და ბა. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

ბ. გ. ხოგოლევსკი.—ხირურგია და ორთოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—შინაგ., ბავშ. ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი სალი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქ. (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი № 274.**

„ტფილისის სავრებულოს“ დარბაზში

ბავშვების სიხარული

ხუთშაბათს, 6 მაისს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე.

(2—1) იხილე მე-4 გვერდზე

ქ უ თ ა ი ს შ ი

კბილის ექიმი

დავით ს. რიჟინაშვილი

იღებს დილით 9—2 საათ. საღამოს 5—7 საათ. პუშკინის ქუჩა, გოკიელოვის სახლი. (30—2538—2)

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე. ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ე ქ ი მ ი

ა. ნ. დიასამიძე

(კანისა და ვენერიული)

დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123. (თვ.—0—80)

მ კ უ რ ნ ა ლ ი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ე ქ ი მ ი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12—[illegible] საათ. საღ. 6—7 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა.

ქ უ თ ა ი ს შ ი

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგანი და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7 საათამდე ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიმარმაკლიძისა.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 მაისი

პეტერბურგი. გენერალ-ლეიტენანტის სახაროვის დეპეშა მთავარ შტაბს 2 მაისს, 1904 წელს: „ამბავი მოვიდა, რომ ლიაოიანიდან 16 ვერსის მანძილზე, სოფლებში, ხუნხუზები გაჩნდნენო. ამის გამო პირველ მაისს გაიგზავნენ ქვეითა და ცხენოსანი რაზმები და ერთი როტა. აღნიშნულ სოფლებში ხუნხუზები არ აღმოჩნდნენ; ამასთან ადგილობრივი მცხოვრებნიც სწორეს არას ამბობდნენ. უკან დაბრუნებისას, სოფელ შანტაძში, რომელიც ლიაოიანიდან დასავლეთით მდებარობს, 12 ვერსის მანძილზე, აღმოჩნდა მცხოვრებთა მიერ დამალული თვალსაჩინო რაზმი ხუნხუზებისა. ცხენოსანთა და ქვეითა რაზმებმა იერიში მიიტანეს ხუნხუზებზე, რომელნიც სოფლის განაპირას იდგნენ, და ცხარე სროლის შემდეგ განდევნეს ამ ადგილიდან. ხუნხუზებმა დასტოვეს 20 მოკლული და მრავალი თოფი და პატრონა. ჩვენ მოგვიკლეს ორი ჯარის-კაცი და დაგვიჭრეს სამი. კუანდანსიანი ხელ-ახლა იაპონელებმა დაიჭირეს“.

ტოკიო („რეიტ. სააგ.“). იაპონიის ავიზო „მიაკო“ დაიღუპა კერრის ბუხტაში აფეთქებულ ნაღმისაგან. რვა კაცი მოკვდა.

პარიზი. საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ დუმერმა ნადიმზე სიტყვა წარმოსთქვა და, სხვათა შორის, განაცხადა: „ჩვენ მშვიდობიანობა გვსურს, მაგრამ ისე-კი, რომ იმისი პირობები ჩვენგან იყოს დამოკიდებული, რათა მოწინააღმდეგეებს არ შეეძლოთ მაშინ დაგვეცნენ, როცა მოესურვებათ. შორეულ აღმოსავლეთის ძლიერმა დრამამ უნდა გაგვაფრთხილოს. ხელმწიფე, რომელმაც სამშვიდობო კონფერენცია მოიწვია ჰააგაში, იმ ზომამდე იყო მშვიდობიანობას მოწადინებული, რომ იმის მახლობელთ თითქმის დაავიწყდათ ომისთვის მომზადება. სწორედ ეს დრო აარჩიეს მტრებმა, რომ მოულოდნელად დასცემოდნენ რუსეთის ფლოტს“. ორატორმა გაჰკიცხა ის ფრანგნი, რომელნიც განსაცდელის დროს რუსეთის კავშირის წინააღმდეგ მოქმედებენ. „რისთვის არის კავშირი,—სთქვა დუმერმა,—თუ კი განსაცდელის დროს არ შეიძლება ამ კავშირით სარგებლობა? დღეს საქმე ეხება ორ ცივილიზაციის, ევროპისა და აზიის შორის ბრძოლას; შეუძლებელია, რომ საფრანგეთმა, რომელიც ევროპის ცივილიზაციის სათავეში სდგას, მხარი ყვითელ რასსას დაუჭიროს“.

მოსკოვი. 3 საათზე გაიარეს მოსკოვზე ხელმწიფე იმპერატორმა და ხელმწიფე მემკვიდრემ. მრავალი ხალხი იყო თავმოყრილი კალანჩევის ქუჩაზე და ხელმწიფის მატარებელს უცდიდა. ვოგზალზე იყვნენ დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე მეუღლით, შვილები დიდის მთავრის პავლე ალექსანდრის ძისა და გენერალიტეტი. ხელმწიფის მატარებელი 35 წუთს გაჩერდა ვოგზალზე, გამოიცვალა ლოკომოტივი და შემდეგ წავიდა. ხალხმა დალოცა მატარებელი.

ბუდაპეშტი. გოლუხოვსკიმ სიტყვა წარმოსთქვა ავსტრიის დელეგაციის გარეშე საქმეთა კომისიაში და სთქვა: ჩინებული პოლიტიკური განწყობილება გვაქვს არა მარტო მოკავშირე სახელმწიფოებთან, არამედ სხვა სახელმწიფოებთანაც და განსაკუთრებით რუსეთთანაო. შორეულ-აღმოსავლეთის ომში ავსტრ-ჰუნგრეთი სასტიკ ნეიტრალიტეტს დაიცავს. ომის გავლენა ცხადად ეტყობა საერთაშორისო ვაჭრობასო. შემდეგ გოლუხოვსკიმ დაწვრილებით განმარტა, თუ რა ზომები იქნა მიღებული ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე რეფორმების შემოღებისათვის და გამოაცხადა: ავსტრია და რუსეთი თავის პატიოსან მოვალეობად სთვლიან, სავსებით შეასრულონ სახელმწიფოებისაგან მინდობილი მისსია და იმედი გამოსთქვა, რომ ოსმალეთი აღარ დააბრკოლებს ამ საქმის განხორციელებასაო.

კრონშტადტი. 2 მაისს კარდიფიდან მოსულ ინგლისის გემს „კამროსს“-ზე დაიჭირეს მემანქანე, კაიუტების ორი მოსამსახურე, ხოლო 3 მაისს—ვერმანიისგ ემზე ერთი კაცი. ყველა დაჭერილნი აღმოსავლეთის ტომისანი არიან და ამბობენ, ინდო-ჩინელები ვართო, მაგრამ ცხადია, რომ მათ შორის იაპონელები არიან. დაჭერილნი თავხედად იქცევიან.

მოსკოვი. ამ დღეებში შორეულ-აღმოსავლეთში მიდიან მოსკოვისა და ხარკოვის ერობათა წარმომადგენელნი. გადაწყვეტილია, გამართონ ხარბინში დიდი საწყობი, ცხენების სადგომი და დიდი საყინული.

ადესსა. ხალხის ჯანმრთელობის დამცველ საზოგადოების განყოფილება იღებს შემოწირულებას ომში დაჭრილ და მოკლულ ექიმთა ოჯახების და ომში გაგზავნილ ხელმოკლე ექიმების სასარგებლოდ.

ჩიფუ („რეიტ. სააგ.“). ელიან, რომ 7-დან 10 მაისამდე მტერი საერთო იერიშს მიიტანს პორტ-არტურზე ხმელეთიდანა და ზღვიდან. იაპონელებს იმედი აქვთ, რომ რამდენიმე დღის შემდეგ დაიჭერენ ქ. დალნის. განზრახვა აქვთ გააფუჭონ ტალიენვანთან ჩაწყობილი ნაღმები, გადმოსხან იქ ჯარი და შემდეგ შეუდგნენ პორტ-არტურის იერიშს. იაპონელი აფიცერი ირწმუნება, რომ იაპონელები მზად არიან 2 ათასი კაცი უმსხვერპლონ ამ იერიშს. მცოდნე ჩინელები ამბობენ, რომ პორტ-არტურის ნავთსადგურის შესავალი შეკრული არ არისო.

ტოკიო („რეიტ. სააგ.“). გემი „მიაკო“ დაიღუპა იმ დროს, როცა სხვა გემებთან ერთად იჭერდა მცურავ ნაღმებს, რუსების მიერ კერრის ბუხტაში ჩაშვებულს. გემი დაეჯახა ნაღმს, მოხდა აფეთქება და „მიაკო“ ძალიან დაზიანდა; 22 წუთის შემდეგ ჩაიძირა. ეკიპაჟი გადაარჩინეს. ორი მატროსი მოკლულ იქმნა, ექვსი-კი დაჭრილია. რუსები ჯერ წავიდნენ რობინზონის კონცხიდან, მერე 29 აპრილს ისევ დაბრუნდნენ და დაიწყეს დროებით სიმაგრეების აგება

ტაკუს მთის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მხარეზე. გამართეს სანგლები და 6 ზარბაზანი დასდგეს. იაპონიის ესკადრა მთელის დღის განმავლობაში ესროდა რუსებს ყუმბარებს, მაგრამ პოზიცია ვერ დაატოვებინა.

(ომის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. „ნიუ იორკ ჰერალდ“-ის სამხედრო თანამშრომელი სწერს: „სამხედრო მოქმედება მეტად სწრაფად მიდის წინ. იაპონელებმა პორტ-არტურს ახლო დაუბრკოლებლივ გადაიყვანეს ჯარი, ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულზე ნამდვილად გაბატონდნენ და პორტ-არტურს გზები მთლად შეუკრეს. ამას იქით პორტ-არტურს არავითარი კავშირი აღარ ექნება გენ. კუროპატკინის ჯართან. პორტ-არტურის ციხე კარგა ხანს გაუმაგრდება იაპონელებს, მაგრამ აქაური ესკადრა როგორ მოახერხებს ნავთ-სადგურიდან გასვლას, როდის მოვა ბალტიის ესკადრა და რა ნაირად შეუერთდება პორტ-არტურის ესკადრას? მთელი ქვეყნიერობა გენ. კუროპატკინისაკენ იცქირება: რას იზამს, ამას იქითაც მოიცდის და იაპონელებს მუკდენამდე და უფრო ზევითაც გაუშვებს, თუ ეხლავე მთელ თავის ძალას მოიკრებს, იაპონელებს შეებრძოლება და უკუაქცევსო? უკანასკნელ დეპეშებიდან სჩანს, რომ გენ. კუროპატკინს ეხლავე სწადიან იაპონელებზე იერიშის მიტანა, მაგრამ თუ გენერალი კუროპატკინი ახალ ჯარის მოსვლას მოუცდის და იაპონელებს ჯერ არ შეებრძოლება, რუსის ჯარი დღე და დღე უფრო დიდ განსაცდელში ჩავარდება და იქმნება გენ. კუროპატკინმა ძალა-უნებურად მუკდენიც დასტოვოს, უფრო ზევით ჩრდილოეთისაკენ დაიხიოს და მხოლოდ იქ შეებრძოლოს იაპონელებს. მეტად მნიშვნელოვანი, სერიოზული წამია“... („პ. ვ.“).

ინგლისური გაზეთების სამხედრო თანამშრომლები წინასწარმეტყველებენ, იაპონელებს ხმელეთიდან არ გაუჭირდებათ პორტ-არტურის აღებაო. სამხედრო თანამშრომლები დარწმუნებულნი არიან, რუსები სხვა ჯარს ვერ მიაშველებენ პორტ-არტურს და იაპონელებს ხელს ვერ შეუშლიანო. რუსის ჯარს სხვაგანაც საკმაო საქმე აქვსო. („რ. ლ.“).

ინგლისური გაზეთები იუწყებიან: იაპონელებს ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულის სხვა ადგილებშიაც გადაჰყავთ ჯარიო: ბიძივოს გარდა, ჩინჩტოუსა და ფუჩჟოუშიაც განუწყვეტლივ გადაჰყავთ. ფუჯოუ ლიაოდუნის დასავლეთ მხარესა მდებარეობს ბიძივოს პირდაპირ. („რ. ლ.“).

„რუსკოე სლოვო“-ს სამხედრო კორესპონდენტი ბ. ნემიროვიჩ-დანჩენკო პორტ-არტურიდან ლიაოიანს წასულა და იქიდან დეპეშა გამოუგზავნია. ბ. ნემ.-დანჩენკო სწერს: პორტ-არტურში ყოველ წამს ამბავი მოდიოდა, იაპონელებს ჯარი გადმოჰყავთ ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულზეო, ყველგან მთელ კვანტუნის ნახევარ-კუნძულზე გაფაციცებით მუშაობენ, სანგრებსა ჰმართავენ, თხრილებს ამზადებენ, სიმაგრეებს აგებენ... ერთს შეტაკების შემდეგ იაპონელებს მოკლული რუსის სალდათი ეპოვათ, მუნდირი გაეხადათ, თავ-ქვეშ დაედოთ და ხელები გულზე დაეკრიფათ. („რ. ს.“).

შანჰაიდან ატყობინებენ ინგლისურ გაზეთებს: იაპონელები მალე ნიუ-ჩუანშიაც გადაიყვანენ ჯარსაო. („რ. ლ.“).

„მორნინგ პოსტ“-ის სამხედრო თანამშრომელი, ცნობილი სპენსერ უილკინსონი ჰფიქრობს, იაპონელები ჯერ-ჯერობით ჯარს არ გადაიყვანენ ნიუჩუანში, ჯერ ერთად იმოქმედებენ, აქეთ-იქით არ გაჰფანტვენ თავიანთ ჯარსაო. ამას იქით იაპონიის ჯარი უფრო ნელა ივლის, თავის მარჯვენა ფრთას მოუცდის: მარჯვენა ფრთა ფინხუანჩენის ჩრდილოეთით მიდის მუკდენისაკენ და მეტად გრძელი და ცუდი გზა აქვს გასავლელიო. („მ. ვ.“).

„ტაიმს“-ი, „სტანდარდ“-ი და სხვა ინგლისური გაზეთები ირწმუნებიან, 20 აპრილს იაპონელებმა ბრანდერები ისე ახლო ჩაძირეს პორტ-არტურის რეიდის გასავალთან, რომ რუსის დიდ ჯავშნიან გემებსა და კრეისერებს გარე რეიდზე გასვლა აღარ შეუძლიანთო. („რ. ლ.“).

იტალიურ გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ: რუსის მეზღვაურები ყოველ ღონეს ღონობენ, რომ პორტ-არტურთან ჩაძირული ბრანდერები როგორმე ააფეთქონო. („რ. ლ.“).

ადმირალ ტოგოს მოხსენებაში სწერია, 20 აპრილს რამდენიმე ბრანდერი პორტ-არტურის რეიდის გამოსავალში ჩაძირეს ჩვენმა მეზღვაურებმაო („რ. ს.“).

კორეის იმპერატორმა ბძანება გამოსცა და თავის სასახლიდან ყველა მკითხავი და მისანი განდევნა; ბრძანებაში სწერია, რაც ამ ბოლოს დროს კორეიაში განხეთქილება და უსიამოვნება მოხდა, სულ მკითხავებისა და მისნების ბრალი იყოო. ამბობენ, ეს ბრძანება იაპონელების რჩევით გამოიცაო. („რ. ვ.“).

ინგლისის საზოგადოებამ ომში დაჭრილ იაპონელ ჯარის-კაცებისა და მეზღვაურების სასარგებლოდ 19 ათასი გ. სტ. (140 ათასი მან.) შეკრიბა. („მ. ვ.“).

„დეილი მეილ“-ის სამხედრო თანამშრომელი იუწყება: მდ. იალუზე ბრძოლის შემდეგ ერთი სამწუხარო ამბავი მოხდაო. ბრძოლის ველზე ჩინელები გაჩნდნენ და მოკლულებსა და დაჭრილებს ტანისამოსი, წაღები დაჰხადეს, იარაღი და წყლის ჭურჭლები ააცალეს და სხვ. იაპონელ გენერალს ძლიერ ეწყინა ეს ამბავი და ბრძანება გასცა, ამას იქით ბრძოლის ველზე დარაჯები დააყენეთ ხოლმეო. გენერალმა გამოაცხადა აგრეთვე, ვისაც ამნაირ საქმეზე მოვასწრობთ, სასტიკად დავსჯითო. („რ. ვ.“).

საუბარი იაპონიის ელჩთან. „მატენ“-ის კორესპონდენტს ლონდონში იაპონიის ელჩი ბარონი გაიაში უნახავს და ლაპარაკი უკანასკნელ სამხედრო მოქმედებაზე ჩამოუგდია. გაიაშის უთქვამს კორესპონდენტისათვის: თუ რუსები ნიუჩუანიდან გავლენ, იაპონელები ზღვიდან დაიჭერენ ამ ქალაქსა და სამხედრო მოქმედების ბაზად გაიხდიანო. გაიაში დარწმუნებულია, რომ იაპონელები უსათუოდ აიღებენ პორტ-არტურს, ის კი არ იცის, იერიშით აიღებენ, თუ პორტ-არტურის მეციხოვნე ჯარს დაამშევენ და ისე დაინებივებენ. ვლადივოსტოკზე კი იაპონელები უსათუოდ იერიშს მიიტანენ ხმელეთიდან, რადგან ზღვიდან ძლიერაა გამაგრებული. იაპონელებს საშური არა აქვთ რა. გაიაშის აზრით, რუსებს მანჯურიაში ამ ჟამად 250 ათას კაცზე მეტი ჯარი არა ჰყავთ. ლიაოიანთან საცაა დიდი ბრძოლა მოხდება. გენ. კუროპატკინს ლიაოიანს ახლო 100 ათასი კაცი ჰყავს, იაპონელები კი მეტს ჯარს მიიყვანენ ლიაოიანთან. („მ. ვ.“).

ჩინეთი და იაპონია. ტიანძინიდან ამბავი მოვიდა, პეჩილიის მეფის მოადგილემ იუანშიკაიმ ხელ-ახლად გააფრთხილა ჩინეთის ხალხი, ნეიტრალიტეტი მტკიცედ დაიცევითო.

ჩინეთი დიდ-ძალ იარაღს ჰყიდულობს გერმანიის სავაჭრო ფირმებისაგან. უკანასკნელ დროს ამ ფირმებმა 15 ათასი თოფი და 1 მილიონი პატრონი მიჰყიდეს ჩინელებს.

„სტანდარდ“-ს ატყობინებენ ტიანძინიდან: ჩინეთის მთავრობამ დაავალა თავის ელჩს ლონდონში, ჰააგის კონვენციის დადგენილებას ხელი მოაწერეთ, რომ ჟენევის კონვენციის წესები ჩინეთსაც შეეხებოდესო. ამას გარდა, ჩინელები სთხოვენ იაპონიას, ჩინეთის წითელ ჯვრის საზოგადოება აღიარეთო. („რ. ვ.“).

„მორნინგ პოსტ“-ის შანჰაელი კორესპონდენტი იუწყება: იაპონიის ელჩმა პეკინში პროტესტი გამოუცხადა ჩინეთის მთავრობას, რუსის ჯარი ჩინეთის სამფლობელოში რადა დგასო. ელჩმა სთხოვა ჩინეთის მთავრობას, ეხლავე ღონისძიება მიიღეთ და რუსის ჯარი ჩინეთის სამფლობელოდან განდევნეთო. თორემ იაპონიის ჯარიც იძულებული იქმნება, ჩინეთის სამფლობელოში გადავიდეს და რუსის ჯარის წინააღმდეგ იმოქმედოსო. („მ. ვ.“).

„მატენ“-ის კორესპონდენტი იუწყება ხარბინიდან: ადგილობრივი ჩინელები ამ ბოლო დროს სულ სხვანაირად ექცევიან რუსებს, მეტადრე ქალაქ გარედ; მეტად თამამადა და თავხედად უჭირავთ თავი და თვით რუსის აფიცრებსაც-კი არას უგონებენო. („რ. ლ.“).

ინგლისი და რუსეთი. მას აქეთ, რაც რუსეთ-იაპონიის ომი დაიწყო, ინგლისური კონსერვატიული და იმპერიალისტური გაზეთები ყველაფერში იაპონიის მხარეს იჭერენ, ლიბერალური პრესა-კი უფრო მიუდგომლად იქცეოდა, მაგრამ ეხლა ლიბერალურმა გაზეთებმაც-კი შესცვალეს კილო და რუსეთზე სულ სხვანაირად დაიწყეს წერა. იაპონელების გამარჯვებამ მდ. იალუზე ინგლისელ ლიბერალებზეც იმოქმედა. ლიბერალურ პარტიის უმთავრესმა გაზ. „დეილი ნიუს“-მა მოწინავე წერილში პირდაპირ დასწერა: ძლიერ ვნანობ, რომ აქამდე რუსეთს თანავუგრძნობდიო. რაზე შემოსწყრა ლიბერალური პრესა რუსეთს? იმაზე, რომ ამას წინად რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა ნოტა გამოსცა და გადაჭრით გამოაცხადა, არც ომის დროს, არც ომის შემდეგ, არც ერთს სახელმწიფოს არ მივსცემთ ნებას, რომ რუსეთის საქმეში გაერიოს და იაპონიასთან შუამავლობა გაუწიოსო. ეს ნოტა ინგლისის პოლიტიკურ პარტიებს, კონსერვატორებს, თუ ლიბერალებს, ყველას ერთნაირად ეწყინათ. კონსერვატიულმა გაზ. „სტანდარდ“-მა დასწერა: მაშ 1895 წ. თითონ რუსეთი რაღად გაერია იაპონია-ჩინეთის საქმეში, საფრანგეთისა და გერმანიის დახმარებით სიმონოსეკის ხელ-შეკრულობა რად გააუქმა და გამარჯვებულ იაპონიას ყველაფერზე ხელი რად დააბანინაო. („ბ. ვ.“).

ახალი ამბავი

✦ როგორც ქვემოდ ქალაქის საბჭოს ანგარიშიდან დაინახავს მკითხველი, ტფილისის ქალაქის **მოურავმა თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა** 3 მაისს ქალაქის საბჭოს განუცხადა, რომ თავს ვანებებ თანამდებობასაო.

✦ გუშინა ვწერდით, რომ „**წერა-კითხვის საზოგადოებას**“ ბაზრიდან 500 მანეთამდე დარჩებაო. როგორც გამოუანგარიშნიათ, მოგება ბევრად ნაკლები ყოფილა, სახელდობრ მხოლოდ ორას მანეთამდე. საზოგადოებას დიდ-ძალი ნივთები დარჩა, ამიტომ ჰფიქრობენ, მაისის გასულს მეორედ გამართონ ბაზრობა და სეირნობა.

ფელეტონი

ორიოდე დღე ალლავერდის მადანში

... მზე ამოვიდა, როცა ჩვენ ალლავერდის ქარხნის დირექტორის სახლს მივადექით. მადაროებისა და ქარხნის დათვალიერების ნება მოგვცა, თუმცა-კი ჯერ კარგად გამოგვკითხა, სამთა-მადნის საქმე ხომ არავინ არ იცითო. ჩვენ, რასაკვირველია, ვუპასუხეთ, არავინ არ ვიცითო და ძალიან კარგადაც მოვიქეცით, რადგან „ჩვენც ჩვენი საიდუმლოება გვაქვსო“, აგვიხსნა დირექტორმა. ცოტა ხნის შემდეგ სამთო შტეიგერი დაიბარა და ჩვენი თავი იმას ჩააბარა. შტეიგერმა წინდაწინვე გვითხრა, თქვენის ტანისამოსით მადაროებში შესვლა არ შეიძლება, რადგან ტანისამოსი ისე გაგიფუჭდებათ, რომ შემდეგში აღარ გამოგადგებათო, მაგრამ მაშინვე თავის სახლში მიგვიწვია და სამი ხელი ისეთი ტანისამოსი მოგვცა, რომ ვერ გაიგებდით, რა ფერისა იყო ქუდი, ჩექმები, შალვარი და კურტკა.

თვით სოფელი ალლავერდი, ქარხანა და მადაროები მდებარეობს ჩავარდნილ და ქვაბის მაგვარ ადგილში, რომელსაც სამის მხრიდან თვალ აუწვდენელი, წოწოლა და აქა-იქ ბუჩქნარით შემოსილი პიტალო კლდეები არტყია. მხოლოდ ყველა ამას დასავლეთიდან დარაჯად უდგა მოტიტვლებული მთა ლელვარი. თვით სოფელი ალლავერდი (თათრულად ნიშნავს—ღმერთმა მოგვცა) ქარხანაზე უფრო ზევით, გორაზე მდებარეობს. სოფლისა და ქარხნის მახლობლად აქა-იქ აგროვია ყვითელი, წითელი, რუხი და ათასფერი ქვებისა და მიწის გორები, - მადაროებიდან უვარგის მასალის გამონატანი. სანამ მადაროებამდე მივიდოდით, ბ-მა შტეიგერმა ალლავერდის წარმოების შესახებ შემდეგი გვიამბო:

ასე, ას ორმოცდა-ათისა თუ ორასის წლის წინად ქართველთა მეფემ საბერძნეთიდან სამთამადნო საქმის მცოდნე ბერძნები მოიწვია; კარგი უფლებები მისცა და ალლავერდსა, შამლუხსა და ახტალაში დაასახლა. ბერძნები მადაროებს ამუშავებდნენ, სპილენძს აკეთებდნენ და ჰგზავნიდნენ ახტალაში, სადაც ქართველების ზარაფხანა იყო. შემდეგ, როცა საქართველო რუსეთს შეუერთდა და საკუთარ ფულის მოჭრის უფლება მოესპოთ, ალლავერდისა და ახტალის მადნები დარჩათ ბერძნებს, რომლებმაც მადნების დამუშავების უფლება მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ფრანგების საზოგადოებას იჯარით მისცეს. ოთხმოცდა თხუთმეტ წლებში ეს საზოგადოება გაკოტრდა, მადნები კი იჯარით აიღეს სხვა ფრანგებმა—„კავკასიის სამრეწველო და სამეტალურგიო საზოგადოება“-მ, რომელმაც ძველი ქარხანა დაანგრია, გამართა უფრო კარგი და ახალ სისტემის ორი ქარხანა, ააშენა მსახურთათვის მთელი კოლონია, მოაწყო საავადმყოფო და ბერძნების ადგილობრივ სკოლასაც დახმარებას უწევს.

თვით ალლავერდის მადნებთა განვითარების ისტორიისა და ახტალის ზარაფხანისა კი რა მოგახსენოთ, მაგრამ ის-კი მართალი იყო, რომ ამ ახალ საზოგადოებას აქვს თავისი საკუთარი კოლონია, საავადმყოფო, ჰყავს ექიმი, ფერშალი და საზოგადოდ ყოველ მხრით მშვენივრად არის მოწყობილი, გარდა მუშების სადგომისა, მაგრამ ამაზე შემდეგ იყოს.

ამ ლაპარაკში ქარხნის ეზოში შევედით. იქვე ორ-სამ ადგას იწოდა სპილენძის ჯოვარის ხროვა. ქარხნის საბოლედან და ამ ხროვებიდან ამონადენი ყვითელი და სქელი ბოლი იქაურობას ედებოდა, ყველაფერს ყლენთავდა, ჰაერს გოგირდის სუნით სწამლავდა და კაცს სუნთქვას უძნელებდა. მანქანების რახა-რუხი, სახელოსნოების ბრახა-ბრუხი, უშველებელ ფეჩის გუგუნი, მუშების ყვირილი, ვაგონეტკების რახრახი და წკარა-წკური ზარებისა, რომელიც ჯორებსა და ცხენებს ყელზე ება, ერთმანეთში ირეოდა და იქაურობას რაღაც განსაკუთრებულსა და არაჩვეულებრივ ელფერსა სდებდა. თუმც ყველაფერი ირეოდა და ხმაურობდა, მაგრამ მაინც სჩანდა, რომ ყველა თავისს საქმეს ასრულებს, არავინ არავის არ უშლის, რომ მთელს ქარხანაში მეტი არც ერთი ქვა, არც ერთი პატარა ჯოხი არა სდია.

ყველას თითო-თითო ჭრაქი მოგვცეს ხელში. ამგვარ ჭრაქებს ამ სამოციოდე წლის წინად საქართველოში ეხლანდელ ლამფების მაგივრად ჰხმარობდნენ. ჯაჭვზე ჰკიდია პატარა, ზეთით სავსე თუჯისა ან რკინის თასი, რომელშიაც ბამბის პატრუქი სდევს. ჩვენმა გამცილებელმა შტეიგერმა ჭრაქის გარდა ხელში ჩაქუჩი აიღო. ორ-ციოდე ნაბიჯის შემდეგ მადაროს შესავალს მივადექით. მაღალსა და ძლიერ დაქანებულ კლდე ძირში შორიდანვე დავინახეთ მადაროს შავი და შიშის მომგვრელი პირი, რომლიდანაც ჩვენს მიახლოვებისთანავე ხვნეშითა და ქაქანით გამოვიდა მთლად ოფლში გაწურული ცხენი. უკან აგარით დატვირთული ორი ვაგონეტკა ება, ერთით რაღაც გამოურკვეველ ფერის ნაფლეთებში გამოხვეული, მუხლებამდე შავ ტალახ ამოსვრილი, სულ მთლად შავი და მჭვარტლში ამოგანგლული მუშა მოსდევდა, რომელმაც ცისხლივით წითელი და მისუსტებული თვალები შემოგვანათა და ისევ თავის ცხენს გაჰყვა. მადაროს უკუნეთით მოცულ სიღრმიდან პირდაპირ გვეცა ყინულივით ცივი, სამარისებურ ზეთის, ოთოვის წამლის, გახრწნილ რკა სუნით, მჭვარტლითა და სინესტით გაჟღენთილი ჰაერი, რომელმაც ტანი გაგვიცივა და გაგვაჟრჟოლა. მადაროში ჩქარის ნაბიჯით, თითქმის სირბილით შევარდა და მალე სიბნელეში შთაინთქა თორმეტ-თხუთმეტ წლის ბავშვი, რომელსაც ზურგზე ათიოდე ფოლადის მოკლე ლომი ეკიდა. კიდევ კარგა ხანს მოსჩანდა, თრთოდა, ხან ჰქრებოდა და ხან ისევ ენთებოდა იმ ბავშვის ჭრაქი. ბოლოს ისიც დაპატარავდა, პატარა მოციმციმე წერტილად გადაიქცა და გაჰქრა. ჩვენც ჭრაქები ავანთეთ. შტეიგერმა გაგვაფრთხილა, რკინის გზის ლიანდაგს ნუ გადასცდებით, ყური მიგდეთ და რასაც გეტყვით, აასრულეთო. თითონ წინ გაგვიძღვა, ჩვენ უკან მივყევით. თან-და-თან ბნელდებოდა, ჰაერი სინესტითა და მჭვარტლით უფრო-და-უფრო იჟღინთებოდა, სუნთქვა გვიძნელდებოდა, ფეხები ტალახსა და წყალში გვეფლობოდა, თავზე წყლის წვეთები გვეცემოდა და ჭრაქებიც თითქმის გვიქრებოდა. ზოგჯერ ერთმანეთს მხოლოდ ფეხის ხმაზედა მივდევდით. თლილის ქვით ამოწყობილი თაღი გათავდა, დაიწყო სულ უბრალო და მაგარ კლდეში გათხრილი—დაბალი და უსწორ-მასწორო ხვრელი, რომელიც ხან მარცხნივ და ხან მარჯვნივ უხვევდა, ხან მაღლდებოდა, ხან დაბლდებოდა და ადგილ-ადგილას წვიმაში გვხვევდა. შტეიგერი ჩქარა მიდიოდა, ჩვენ ერთმანეთსა და კედლებს ვაწყდებოდით, დაბალ თაღს თავებს ვახეთქებდით, მაგრამ ჩუმად ვიყავით და [illegible] ლითა და ბორძიკით ერთმანეთს მივდევდით. [illegible] მოვიხედე: არაფერი აღარ სჩანდა, ირგვლივ წყლიანი, მოკრიალე, ტალახიანი და მაგარი კლდეებიდა გვერტყა. უცებ საიდანღაც ნაცნობი, თათრული ბაიათი მომესმა. ხმა ხრინწიანი, ჩაგლეჯილი იყო და თითქოს ქვესკნელიდან ამოდიოდა. ამას ვაგონეტკის გრიალიც მოჰყვა. „ხა-ბარდა-ა-ა!“ დაიყვირა ვიღამაც და შორს, სიბნელეში სამი

◆ ჩვენ გავიგეთ, რომ სცენის მოყვარენი, რომელთაც ამას წინად წარმოადგინეს „ღალატი“, 16 მაისს კვლავ წარმოადგენენ ამ პიესას ქართულ თეატრში. როლები ისევ ისე იქნება განაწილებული, მხოლოდ ორიოდე როლის აღმსრულებელი გამოუცვლიათ. პირობენ, კიდევ უფრო მეტის ანსამბლით წარმოადგინონ ეს მშვენიერი პიესა.

◆ ტფილისში კიდევ დაარსდა ერთი **სიმპატიური საზოგადოება**, რომელმაც მოვალეობად დაისახა ნივთიერი შემწეობა აღმოუჩინოს იმ მოსწავლე ქალთ, რომელნიც საშუალო სასწავლებელს დაასრულებენ კავკასიაში და შემდეგ რუსეთში მიდიან უმაღლეს სწავლის მისაღებად. საჭირო არ არის ამის განმარტება, რამდენად სასარგებლო იქნება ეს საზოგადოება ჩვენში! ნამეტურ ქართველ ქალთა შორის ძლიერ ცოტაა ჯერ უმაღლეს განათლებით შეიარაღებული, რის მიზეზი, სხვათა შორის, ჩვენი ხელ-მოკლეობაც არის. ვუსურვოთ ახალ საზოგადოებას გაძლიერება და წარმატება, რათა ბევრ ჩვენ თანამემამულე ქალთ გაუადვილოს მაღალ განათლების მიღება... დღეს ამ საზოგადოების დამფუძნებელთ პირველი კრება აქვთ, რომელზედაც იწვევენ ყველას, ვინც თანაუგრძნობს ქალთა განათლების დიდ საქმეს.

◆ **ა. ი. მანთაშოვმა მთავარ-მართებელს** ომის საჭიროებისთვის 15,000 მანეთი გადასცა. მთავარ-მართებელმა ეს ფული ფლოტის გასაძლიერებლად გაჰგზავნა.

◆ გუშინ-წინ პეტერბურგიდან ტფილისში ჩამოვიდა **სამრეწველო სასწავლებლების ინსპექტორი** რუდოლფი, რომელიც გამგეობის წევრს თ. ნ. ე. არღუთინსკი-დოლგორუკოვთან ერთად შეუდგა ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის რევიზიას. ბ-ნი რუდოლფი ურჩევს ქალაქის გამგეობას ავლაბარში ოთხ-კლასიან პროგიმნაზიის ნაცვლად შუამდგომლობა აღძრას 8 კლასიან სამრეწველო სასწავლებლის დაარსების შესახებ. ამ სასწავლებლისათვის ქალაქს 43,000 მან. დასჭირდება.

◆ ხვალ, 6 მაისს, ტფილისის ქალაქის მოურავი, გამგეობა და ხმოსნები ნაშუადღევის 1 საათზე, დაათვალიერებენ იმ ადგილებს, სადაც განზრახულია **საელექტრონო სადგურის** გამართვა.

◆ როგორც ალექსანდროპოლიდან გვატყობინებენ, 2 მაისს იქ დიდი **სეტყვა მოსულა.**

◆ კიევის უნივერსიტეტთან არსებულ ბუნების მკვლევართა საზოგადოება ტფილისის გუბერნიაში **საგეოლოგო გამოკვლევებისთვის** ჰგზავნის თავის წევრ პროფესორს ლუბინსკის.

◆ საექსპერიმენტო მედიცინის ინსტიტუტი ამ ზაფხულს შავის ზღვის პირად **მალიარიის გამოსაკვლევად** ექსპედიციას ჰგზავნის.

◆ ტფილისის **ქალაქის სკოლებში** გამოსაცდელი ეგზამენები მოხდება შემდეგის რიგით: 7 მაისს ეგზამენი მოხდება ამაღლებისა და მამა-დავითის სკოლებში; 8 მაისს კუკიის 1 და 2 სკოლებში, 10 მაისს კუკიის მე-3 და 4 სკოლებში, 11 მაისს—ჩუღურეთისა და პუშკინის მეორე სკოლებში, 12 მაისს—პუშკინის 1 და ავლაბრის 1 სკოლებში; 13 მაისს—ვერის მე-2 და მე-3 სკოლებში; 15 მაისს—ავლაბრის მეორე და ავლაბრისავე საქალებო სკოლაში და 18 მაისს—ავლაბრის მე-3 და სოლოლაკის სკოლებში. ვერის პირველსა და ვერისავე საქალებო სკოლებში ეგზამენები 3 მაისს დასრულდა.

◆ გვთხოვენ მივაქციოთ ქველმოქმედთა ყურადღება ალექსანდრე სუჯაიძის გაჭირვებულ მდგომარეობას. სუჯაიძე დამბლად არის ჩავარდნილი, ვედარც ფეხსა ჰხმარობს, ვედარც ხელს და ენაც დაბმული აქვს. ხელობით იგი ტეხნიკოსი ყოფილა და წინად კავკავის გზაზე მსახურებდა მუშათა ზედამხედველად. რკინის გზას არაფრით შემწეობა არ აღმოუჩენია. სუჯაიძე დიდუბის ღამის თავშესაფარში იმყოფება.

◆ ჩვენ გვთხოვენ მივაქციოთ ყურადღება ვისიც ჯერ არს ერთ გარემოებას: ჩვენებურ პურის მცხობელთ ჩვეულებად აქვთ გამომცხვარ პურის გარედ, ქუჩაში, დაბალ დახლებზე დაწყობა გასასყიდათ. პური არაფრით არ არის დაფარული და ამიტომ მტვერიც ეყრება, ტალახიც მოხვდება და სხვა; ხშირად ქუჩის ძაღლიც მივა და დასუნავს თურმე... არ იქნება ურიგო მეფურნეებს აიძულებდნენ პურის დაფარვას.

◆ ყარსის სამხედრო გუბერნატორმა სთხოვა ტფილისის გუბერნატორს, შეაკეთებინეთ სიფლინის ხიდი, რომელიც ტფილისის გუბერნიაში იმყოფება და დიდი მნიშვნელობა აქვს ახალქალაქ ახალციხეში მისვლა-მოსვლის დროსაო.

◆ კავკასიის სასოფლო სამეურნეო-საზოგადოების მიერ ტფილისის საბაღოსნო სასწავლებლის გამგედ ამორჩეული ს. ფ. ხუნდაძე პირველ მაისიდან უკვე შეუდგა თანამდებობის აღსრულებას.

◆ 1 აპრილიდან 1 მაისამდე შუა ბაზრის ყასბებს 35-ჯერ დაურღვევიათ ნიხრის შესახებ სავალდებულო დადგენილებანი. საგუშაგო პოლიციის აგენტს ოქმი შეუდგენია და ყასბები პასუხის გებაში იქმნენ მიცემულნი.

◆ რადგან მტკვარი ადიდებულია, 5 დღეზე მეტია, ქალაქის ბორანი მუხრანის ქუჩასთან შეჩერებულია.

◆ ეგ. ნინოშვილის ფონდის სასარგებლოდ მივიღეთ: ერთ მუშისაგან 1 მან., №-საგან 50 კაპ.

◆ დუშეთის მაზრის უფროსმა შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე, სოფელი ბულაჩაური, რომელიც ამ ჟამად მცხეთის საბოქაულოში შედის, შეუერთოს ბაზალეთის საბოქაულოს, რადგან მცხეთაზე 24 ვერსის მანძილზეა დაშორებული და ბაზალეთისაზე-კი 6 ვერსის მანძილზეო.

◆ 1 იანვრიდან 1 მაისამდე ტფილისის კასაში შესულა: სატრაქტირო გადასახადისა—72,48 მან., ცხენებისა და ეტლების გადასახადისა—33,962 მან. 35 კაპ. ქალაქის მიწებისა—21,035 მან., ქალაქის წყლის მილისა—32,241 მან. 77 კაპ., საყასბოსი—13,255 მან. და სხვა.

◆ ქუთაისის მე-3 საქალაქო პირველდაწყებით სასწავლებლის საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი ლანგი გვთხოვს დავბეჭდოთ შემდეგი: „საბჭო უგულწრფელესად მადლობს კნ. ე. გ. მიქელაძისას, რომელიც განაგებდა ხსენებულ სასწავლებლის სასარგებლოდ 25 აპრილს გამართულს სეირნობას; მადლობს აგრეთვე ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო სეირნობის გამართვაში და საზოგადოებას, რომელმაც სეირნობაზე დასწრებით ნივთიერი დახმარება აღმოუჩინა სასწავლებელს. სასწავლებლის სასარგებლოდ შემოწირულება შემოვიდა: ექიმ გოკიელოვისაგან—3 მან., ბ-ნ თუმანიშვილისაგან—5 მან , ბ-ნ რელიგიონისაგან—3 მან., თავ. თუმანიშვილისაგან—10 მან., ბ-ნ ლადიძისაგან ხელოვნური სამინერალო წყლები. ყველას ამათ საბჭო მადლობას უძღვნის“.

◆ სოფელ სარეკში (შორაპნის მაზრა) 27 აპრილს შემდეგი მკვლელობა მომხდარა: სალამოთი ამ სოფლის მცხოვრებნი ექვთიმე, ვარდენა და ბაგრატ აბჟანდაძეები შესულან ფილიმონ სულთანიშვილის დუქანში. აბჟანდაძეებს სულთანიშვილთან უსიამოვნება მოსვლიათ იმის გამო, რომ სულთანიშვილს მათთვის აყროლებული ყველი მიუყიდნია. ჩხუბის დროს ძმებს სულთანიშვილებს დაუკრავთ თავში ექვთიმე აბჟანდაძისათვის და იქვე მოუკლავთ.

შემოწირულება: „ქ შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოთ გამართულ ბაზრობას შესწირეს: რ. გვამიჩავამ 1 მ.,—ნ. ჯორჯაძემ 2 მ., კ. ხერხეულიძემ 3 მ.,—მ. გედევანიშვილმა 1 მ., ილია ხარაევმა 30 წყვილი ჩუსტები და 18 ცალი პორტმანი.—გრიგოლ ხატიევმა სამი ნაჭერი ჩითი, გველესიანმა და ჭავჭანიძემ 2 მარაო, ორი ქამარი, თოხი, ბუა ყელისა, ყელსახვევი სამი, ნესესერი 2, რიდიკული 2;—ჯავახიშვილმა სამი ნაჭერი ჩითი; ჯუმუხაძემ და ლაზარაშვილმა სამი ყაბალახი, ერთი დუჟინი ცხვირსახოცი და ორი ფართუკი;—სოფიო ბედიანიძისამ ბავშვის ჩითის კაბა სამი.—სალომე ყაჯარდუზოვისამ ერთი ნაჭერი ჩითი, ერთი პირსახოცი, ერთი თასაკრავი და ვაზა;—ელისაბედ ჯუმუხაძისამ ერთი ვაზა; ანნა ჯუმუხაძისამ ემალიროვანი ქვაბი, ერთი სარძევე და ერთი კრუშკა; დიდიატკოვსკის მაღაზიამ თხუთმეტი ნაჭერი სხვა-და-სხვა საკანცელიარო ნივთი;—როტინოვის მაღაზიამ ორმოცი არშინი ჩითი;—ღამბაშვილისაგან სამი საფერფლე და ორი წიგნის საჭრელი;—დ. ზ. სარაჯიშვილისაგან ერთი ყუთი ლიქორი.

ტფილისის ქალაქის საბჭო

3 მაისი

მოურავმა მოახსენა საბჭოს, რომ ქალაქის ხორცის დუქნების გამგე კომისიის თავმჯდომარე თხოულობს ხორცის ნიხრს მოუმატოთ კიდევ ერთი კაპეიკი და საქონლის შესაძენად კიდევ 25 ათასი მანეთი მოგვცეს ქალაქმაო. ნიხრის მომატების სათხოვარს დუქნების გამგე კომისია იმით ამართლებდა, რომ ამ ჟამად ძლიერ ძვირად იყიდება საქონელი და პირველ ხარისხის გირვანქა ხორცის 13 კაპეიკზე ნაკლებ გაყიდვა შეუძლებელიაო. 25 ათასი მანეთი საჭიროა, რადგან დ. ზ. სარაჯევთან შეკრულ პირობას ამ თვის 15 ვადა უთავდება, საკლავი საქონელი უნდა სხვა-და-სხვა ადგილებში შევიძინოთ და ამისათვის თანხა არა აქვს ქალაქის დუქნებსაო. მოურავმა ისიც მოახსენა საბჭოს, რომ ნიხრის ერთი კაპეიკით აწევა ვერ დაინახა ამ ხანად შესაძლებლად, რადგან საბჭომ წარსულის თვის 22 რიცხვს განიხილა ხორცზე დაწესებული ნიხრი და ერთი კაპეიკი უკვე მიუმატა. ნიხრი ჯერ არც-კი დაუმტკიცებია ადმინისტრაციას და არც გამოცხადებულა, ამიტომ გამგეობამ მოუხერხებლად სცნო ამ დაუმტკიცებელ ნიხრის კიდევ ერთის კაპეიკით აწევა და უარ-ჰყო კომისიის სათხოვარიო. რაც შეეხება 25 ათას მანეთის სათხოვარს, კომისიას არ დაუსაბუთებია ასეთი თავისი სათხოვარი, ამიტომ გამგეობამ თავისს აზრი ვერ წარმოადგინა და როგორც საბჭო მოისურვებს—ისე იქმნებაო.

ცოტა კამათის შემდეგ საბჭომ დაადგინა: ნიხრის მომატების შესახებ ამისათვის დაწესებულ კომისიას მოეთხოვოს ცნობები და დადგენილება; რაც შეეხება 25 ათას მანეთის მიცემას, ჯერ საფინანსო კომისიამ განიხილოს ეს სათხოვარი და წარმოადგინოს თავისი აზრი, რამდენად შესაძლებელი იქმნება ამ ფულის მიცემა.

შემდეგ საბჭო შეუდგა სკოლების გამგე კომისიის მოხსენების გარჩევას. კომისიამ მოახსენა: სწავლის მოსურნეთა რიცხვი მატულობს ქალაქში ყოველ წელს და არსებულ სკოლებს არ შეუძლიათ დააკმაყოფილონ ეს მოთხოვნილება. აი, შეკრებილი ცნობები რას ამბობენ: ამ უკანასკნელ სამის წლის განმავლობაში სკოლაში შესვლის მსურველი ყოფილა 5,323, ამათგან ქალაქის 18 სკოლაში მიუღიათ მხოლოდ 2,292 და სკოლის გარედ დარჩენილა 3,031 სწავლის მოსურნე ქალ-ვაჟი, რადგან შეუძლებელი ყოფილა ამათი მიღება ადგილის უქონლობისა გამო. კიდევ ახალის სკოლების დაარსება აუცილებელ საჭიროებას შეადგენსო—აცხადებს სკოლების გამგე კომისია,—მაგრამ ქალაქის ნივთიერი უსახსრობა ხელს უშლის ამ სურვილს განხორციელებას. მიუხედავად ამისა კომისიას მაინც საჭიროდ დაუნახავს ყველა 18 სკოლიდან, ექვსს სკოლასთან მაინც კიდევ თითო განყოფილება გაიხსნას, მაგრამ ისე რომ ამ წელს 1-ლი განყოფილება, მომავალ წელს მე-II და მესამე წელშიაც—მე-III განყოფილება, რომ ამ გზით მაინც ოდნავ დავაკმაყოფილოთ ქალაქის მკვიდრთა შვილების დიდი მოთხოვნილება სწავლისაო. ამ კვალობაზე რომ უანგარიშნია კომისიას ექვს არსებულ სკოლაში კიდევ თითო განყოფილების გამართვა, ქალაქს დასჭირდება შემდეგ ფულის გაღება: ამავე წლისთვის 4,244 მანეთი დამატებითის სმეტით; 1905 წლის სმეტაში უნდა შევიდეს 10,276 მანეთი, 1906 წლისათვის—15,648 მან. და 1907 წლიდანკი ყოველ წელს უნდა მიემატოს სმეტას 17,316 მანეთი, რომელიც ქალაქისათვის სავალდებულო ხარჯად გადაიქცევაო.

მოციმციმე სანთელი გამოჩნდა. ვაგონეტკები გრიალით გვიახლოვდებოდნენ. ჩვენ გზას გადავდით, ტალახიან კედელს მივეყრდენით, მოვიკუმშეთ, თავები დავხარეთ და გავინაბეთ. წინა ცხენი მძიმე სუნთქვითა და ჩქარის ნაბიჯით პირდაპირ ჩვენსკენ მოდიოდა. სამმა ცხენმა ისე ახლო ჩაგვიარა, რომ იმათი ფაფარი თითქმის შეგვეხო. გზა ისევ განვაგრძეთ. უკნიდან კიდევ კარგა ხანს მოგვდევდა ბაიათის მომღერალის იგივე ჩაწყვეტილი ხმა, რომელიც თან-და-თან სუსტდებოდა და უფრო-და-უფრო თითქო ქვევით, ღრმა ორმოში იკარგებოდა. მთლად დავსველდით, ტანი გაგვეყინა, სული შეგვიგუბდა, ჰაერი გვაკლდა.

— მოვკვდი,—გამომეხმაურა ჩემი ერთი ამხანაგი.

— უ-უჰ!—ამოითხრა მეორემ.

— ჰაერი მაკლია,—კინაღამ დავიყვირე, მაგრამ შტეიგერი ჩვენს გაჭირვებას მიხვდა და გაგვამხნევა, ეხლავე წმინდა ჰაერზე გავალთო.

—აი, ესეც წმიდა ჰაერი,—ათი წუთის შემდეგ დაუმატა შტეიგერმა და გაგვიყვანა მაღალ თაღიან და მშრალ მაღაროში, სადაც ოთხი ხვრელი ერთად იყრიდა თავს. აქედ-იქიდან ისმოდა ჩაქუჩების რახა-რუხი და ოხვრის მაგვარი ხმები. მარჯვნივ გავუხვიეთ, რკინის გზის ლიანდაგს გადავსცდით, სამად მოვიხარეთ, პატარა სოროში შევძვერით და მუშებს თავზე წავადექით. ხვრელში ერთ ჩარექ ტალახი იდგა. დაბალ თაღს ოთხიოდე ძელის ბოძი ჰქონდა მიბჯენილი. სველსა და ტალახიან კედლიდან წყალი ჩამოდიოდა და იატაკზე გუბდებოდა. ერთ ბოძზე ჭრაქი ეკიდა და იქაურობას სუსტად ანათებდა. ორი ტალახით შეგლესილი, ტანისამოს ჩამოგლეჯილი, ჭვარტლით მოთხუპნული და ორად მოხრილი მუშა კოჭებამდის წყალში იდგა და თავის მძიმე, აუტანელსა და საშინელ საქმეს აკეთებდა. ერთ მუშას ხელში ეჭირა მოკლე ლომი, რომელიც კლდეზე მიებჯინა; მეორე დიდ, ათ გირვანქიან ჩაქუჩსა სცემდა, ყოველ დარტყმას გულიდან ამონაკვნეს ოხვრას ატანდა, ყოველ წუთის შემდეგ ჩაქუჩს ძირს უშვებდა და შუბლიდან წურწურით ჩამონადენ ოფლს იწმენდავდა. კლდე რკინასავით მაგარი იყო და ჩაქუჩის ყოველ დარტყმაზე ცეცხლის ნაპერწკლებს აფრქვევდა. მუშები წელში ვერ იმართებოდნენ, მთლად სველები იყვნენ, ზევიდან თავზე, მხრებზე და ბეჭებზე განუწყვეტლივ წყლის წვეთები ეცემოდათ, მუშაობისაგან ოფლში გავლდნენ და ესეც საკმარისი არ იყო: შემოსავლიდან ცივი და ძრიელი ქარი ჰქროდა. შტეიგერმა თავის ჩაქუჩით რამდენიმე ადგილას ქვის ჭერი დააკაკუნა და ერთ ადგილას იჭვის თვალით დაუწყო ცქერა და სინჯვა. შემდეგ მუშებს უბრძანა, ამ ადგილას ჩაქუჩი დაარტყითო. ყველამ უკან დავიხიეთ. ერთმა მუშამ შტეიგერისაგან ნაჩვენებ ადგილას ჩაქუჩი ორჯერ სუსტად დაარტყა; იმ წამსვე ჭერიდან გრიალ-ხრიალით ქვის ვეებერთელა ნამტვრევები ჩამოცვივდა. მუშამ ძლივს მოასწრო და უკან გადმოხტა.

— უბედურების ასაცილებლად ყოველთვის საჭიროა ჭერის გასინჯვა,—გულგრილად აგვიხსნა შტეიგერმა და ისევ წინ გაგვიძღვა. გზები ათასნაწილად დაიყო, დაიქსაქსა, დაიხლართა, აირდაირია. მარცხნივ, მარჯვნივ, წინ და უკნიდან, ყოველ მხრიდან ვაგონეტკების გრიალი, „ხაბარდა“-ს ყვირილი, ჩაქუჩების ხათქა-ხუთქი და მუშების ამონაკვნესიღა ისმოდა. აქა-იქ მოსჩანდა ჭრაქების სინათლე, რომელიც ან ბოძზე, ან კედელზე თრთოდა, ან რომელისამე კუთხესთან ჩნდებოდა, ისევ იმალებოდა და ხელმეორედ სხვა ადგილას ჩნდებოდა. დროგამოშვებით ხან აქედან და ხან იქიდან ისმოდა რაღაც რახრახი, თითქოს ქვების გროვა დაიშალა და თავდაღმა დაეშვაო. მივადექით ერთ ხვრელს, სადაც მანქანა იდგა, რომელსაც ორი მუშა ატრიალებდა. ეს წყლის ამოსაქაჩავი მანქანა იყო. უძირო ორმოდან მილით წყალი ამოჰქონდათ. იმის ახლოს მეორე ჩარხი იდგა; ჩარხს ზედ უშველებელი თოკი ჰქონდა დახვეული. იმის გვერდით ამოჭრილი იყო ორმო, რომლის ძირში ოდნავ, მკრთალი და წერტილის ოდენა ბჟუტავი ცეცხლი გამოსჩანდა; იქიდანვე ჩაქუჩის დარტყმის ოდნავ გასაგები ხმაურობა ისმოდა. ქვეშ, ამ ორმოს ძირში მუშაობდნენ. იქ ჩასვლის სურვილი განვაცხადე. შტეიგერმა ღიმილით შემომხედა და მითხრა: იქ მხოლოდ ერთ კაცს შეუძლია მოთავსება, მაგრამ თუ ჩასვლა გინდათ, იმ კაცს ამოვაყვანინებ და თქვენ ჩაბრძანდით, მხოლოდ საეჭვოა, ნახევრობამდის ჩახვალთ თუ არა; ჰაერი არ გეყოფათ, გული წაგივათ და ვინ იცის, რა დაგემართებათ. ამის გარდა იქ მუხლებამდე წყალია, ყოველ ხუთ წუთის შემდეგ ვედროებით ამოგვაქვს. ჩემ სურვილზე უარი განვაცხადე, თუმცა კი გულით მსურდა ერთის წუთით მაინც ვყოფილიყავ იქ მომუშავეს მაგივრად. იქ კარგი ჯოგარია,—აგვიხსნა შტეიგერმა,—და იმედი გვაქვს ბევრიც იქნება. ისევ წამოვედით. მეორე ადგილას მელიას სოროს ოდენა ორმოში ერთი სპარსელი ჩამძვრალიყო და ისეთ ნაირად მოხრილიყო, რომ იმგვარ მდგომარეობაში მუშაობა შეუძლებლად მიმაჩნდა. მაგრამ სპარსელს თავი და მუხლები ერთად მიეტანა, ფეხები წვივებიანად წყალში ჩაეყო, ჭრაქი ისე ახლო ჰქონდა ჩამოკიდული, რომ ცხვირი თითქმის ეწვოდა და ღონით კლდეს უჩიჩხვინებდა. ჩვენ რომ მივედით, თავი ვერ მოიბრუნა, მხოლოდ იღლიის ქვეშიდან შემოგვაპარპალა თვალები და ისევ განაგრძო თავისი ჯოჯოხეთური საქმე. მეორე ადგილას ოთხ მუშას ზევიდან დასცქეროდა კლდეს მოშორებული ქვა, ზომით, დაახლოვებით,, ორი ჩარსო საჟენი და ყოველ წამს გაჭყლეტას ემუქრებოდა. მუშები ყოველ ჩაქუჩის დარტყმის შემდეგ ზევით იხედებოდნენ, მაგრამ მაინც მუშაობდნენ. იმათი სიცოცხლე ყოველ წუთს ბეწვზედ ეკიდა. მაღაროში შემოსვლის დროს თუ ციოდა, ეხლა, პირიქით, საშინლად დაგვცხა, სული შეგვიგუბდა და ხელმეორედ დავიწყეთ „სუფთა ჰაერის“ ძებნა. ათას გზითა და ხვრელებით მოქარგულ დედა მიწის გულში ორ საათზე მეტს დავხეტიალებდით, აღარ ვიცოდით, საით იყო აღმოსავლეთი, დასავლეთი და გასასვლელი გზა. ამ მაღაროს „სან-ელდინ“-ი ჰქვიან,—გვიხსნიდა შტეიგერი და მელიას სოროს ოდენა ხვრელებში ისე დასეირნობდა, როგორც თავის ოთახში,—ამ მაღაროდან ყველაზედ მეტი და ყველაზედ კარგი ჯოგარი გაგვაქვს. აი, ეხლა „სან-ელდინ“-იდან „სან-არმან“-ის მაღაროში ავალთ,—აგვიხსნა ჩვენმა გზის მაჩვენებელმა, ერთ ჩვეულებრივ ხვრელთან მიგვიყვანა, გვითხრა, ფრთხილად იყავითო და გაჰქრა. ზევით ავიხედე და იმის ფეხები ჩემ თავთან იყო, მაგრამ რადგან განცვიფრებისა და მსჯელობის დრო აღარ იყო, მივყევი. კლდეში გამოჭრილ ორმოს, ანუ უკედ რომ ვსთქვათ მილს სიგანე და სიგძე ერთ არშინზე მეტი არ ექნებოდა. ამ მილში ამოჭრილი იყო საფეხურები, ადგილ-ადგილ გადებული იყო პატარა ფიცრები და შემდეგ ისევ ქვის საფეხურები და ამ თავსამტვრევ გზას ბოლო აღარ მოეღო. ქვევით რომ ჩავიხედავდი ხოლმე, ჩემ ფეხებთან ჩემი ამხანაგის თავი და უფრო ქვევით იმისი ჭრაქი ინძრეოდნენ. ზევიდანაც და ქვევიდანაც ქარი ჰქროდა, ჭრაქებს გვიქრობდა, ჩვენ ისევ ვანიავებდით და ამგვარ ტანჯვა-წვალებითა და შიშით ძლივს ძლივობით ავედით მეორე, „სან-არმან“-ის მაღაროში.

თავისუფალი მონა.

(შემდეგი იქნება)

გამგეობას კომისიის მოხსენება დაუმტკიცებია და დაუდგენია, ეს ხარჯები საბჭოს ვსთხოვოთო. საფინანსო კომისიასაც აუცილებელ საჭიროებად უცვნია სწავლის საქმის განვითარება და კომისიის მოსაზრებანი არსებულ სკოლებში კიდევ თითო-თითო განყოფილებების გახსნისა ქალაქისათვის უფრო ადვილ შესაძლებელად უცვნია, ვიდრე კიდევ ცალკე ახალის სკოლების დაარსება, მაგრამ ამ წლიდანვე განხორციელება ამ საქმისა შესაძლებელად ვერ უცვნია, რადგან ამისათვის საჭირო ფული არ ექმნება ქალაქსაო; მომავალ წლისათვის ხარჯების აღნიშნვის დროს-კი შეიძლება ამ ხარჯებზედაც სჯა-ბაასიო.

მთელი საღამო მოანდომეს ამ საგანზე კამათს. ხმოსანი თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი ურჩევდა საბჭოს: არსებულ სკოლებთან განყოფილებების გამართვით ბევრით ვერ შევამცირებთ ხარჯებს, ამიტომ სჯობია ცალკე სკოლები გავხსნათ, ორ-ორი სკოლა ყოველ წელსო.

საბოლოოდ საბჭომ ასე დაადგინა: თანახმად კომისიის მოხსენებისა, გაიმართოს ქალაქის ექვს სკოლაში კიდევ თითო-თითო განყოფილება, მაგრამ მომავალის წლიდან.

ამის შემდეგ ქალაქის მოურავმა, თავ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა, სრულიად მოულოდნელის სიტყვებით მიჰმართა საბჭოს: ღრმა მწუხარებით უნდა გაუწყოთ, ბატონებო, რომ მე სამსახურს თავი უნდა დავანებო. დიდ ხანს ვებრძოლე ჩემ თავს, სანამ ამას გადავწყვეტდი, არ მინდოდა ქალაქის სამსახურისათვის თავი დამენებებინა, რადგან ეს საქმე ძლიერ მიყვარს და მით უფრო სახარბიელო და სასურველიც იყო ჩემთვის ქალაქის მოურავობა, რომ თქვენც, ადმინისტრაციაცა და თვით ქალაქის მცხოვრებნიც თანაგრძნობას უცხადებდით ჩემს სუსტ ძალღონესა და სამსახურს. ძალიან მიძნელდება ამ საპატიო სამსახურზე უარის თქმა, მაგრამ რა ვქნა, რომ ამ ბოლოს დროს უმოწყალო სენი შემომეპარა, ხელს არ იღებს ჩემზე, სულ უფრო და უფრო მასუსტებს და მიშლის თქვენი სამსახური ისე აღვასრულო, როგორც მე მინდა და თვით ქალაქის საჭიროებაც ამას თხოულობს. აი, ბატონებო, ეს მიზეზები მაიძულებენ მოურავობას დავეთხოვო და თქვენ ყველას, რომელნიც ასეთის თანაგრძნობით მეპყრობოდით, დიდი მადლობა გამოგიცხადოთ ნდობისათვისო.

მეტად დაღონდნენ ხმოსნები და ერთხმად წამოიძახეს: გთხოვთ დარჩეთ, შეისვენეთ, რამდენიც გნებავთ, და სამსახურზე უარს ნუ გვეტყვითო.

ამაზე თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა მოახსენა საბჭოს: ჩემი ავადმყოფობა—გულის სისუსტეა და, არა მგონია, ამ სენმა ჩემზე ხელი აიღოს და თქვენი სამსახური ისე შემაძლებინოს, როგორც ამას ქალაქის მოურავობა მოითხოვს და მეც მინდა. ამიტომ გთხოვთ მე განმათავისუფლოთ და ჩემი მოადგილის ამორჩევაზე მოიფიქროთო.

სთქვა ე/ა თავ. არღუთინსკიმ და ჯაჭვი მოიხსნა.

რუსეთის ქრონიკა

◆ ს. პეტერბურგის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ შეადგინა სამაგალითო წიგნთა სიები უფასო სახალხო წიგნთ-საცავებისათვის. სულ 717 არა აკრძალული სახალხო წიგნია შეტანილი ამ სიაში. ყველაზე უფრო ძვირი საისტორიო შინაარსის წიგნები ყოფილა, ამათ მიზდევენ ბელლეტრისტიული, სასულიერო და გეოგრაფიულ შინაარსის წიგნები. საბუნებისმეტყველო შინაარსის წიგნებს ერთი ორად უფრო ნაკლები ფასი აქვთ, ვიდრე ისტორიულ ნაწერებს. ყველაზე უფრო იაფი კი სამკურნალო და იურიდიულ შინაარსის წიგნები ყოფილა. საზოგადოებას განზრახვა აქვს თანდათან გააიაფოს ძვირი სახალხო გამოცემანი.

◆ გაზ. „ნოვოე ვრემია"-ს შეუტყვია, რომ ზაფხულის სეზონის დაწყებამდის გამოაცხადებენ სავალდებულო დადგენილებას, რომლითაც აკრძალული იქნება სხვა-და-სხვა ქუჩის გასართობებში გამოყვანა ბავშვებისა, ვაჟებისა და ქალებისა, რომელთაც 16 წელიწადი არ შესრულებიათ, რადგან ეს ხელობა ჰრყვნის ბავშვებს ფიზიკურად და ზნეობრივად. აკრძალულ იქნება აგრეთვე იმ ბავშვების გამოყვანა, რომელთაც რაიმე ფიზიკური ნაკლი აქვთ.

◆ 28 აპრილს კინაღამ არ დაუწვავთ კრონშტადტში მამა იოანნე კრონშტადტელის სახელზე გახსნილი სახლი მგზავრ მლოცველთათვის. ვიღაცამ ნავთი გადაასხა ზედა სართულში სამ კარს და თვითონ მამა იოანეს სენაკის კარებს, სადაც იგი ხანდახან ისვენებს ხოლმე. მოახდინეს გამოძიება, მაგრამ ბოროტ-განმზრახველნი ვერ აღმოაჩინეს.

წერილები

თელავი. 29 აპრილს, შუაღამისას, სოფ. კურდღელაურში ლუხიტაშვილს კარები დაურახუნეს და სთხოვდნენ გაღებას. როცა სახლის პატრონი ვინაობას შეეკითხა, უთხრეს მისი ნათლი-მამის სახელი, მაგრამ ლუხიტაშვილი ვერ მოატყუეს. მაშინ მიაწვნენ კარებს და მოინდომეს ძალით შემტვრევა. შეიქმნა სახლის პატრონისა და დაუპატიჟებელ სტუმრებს შორის ლანძღვა-გინება და მუქარა. ლუხიტაშვილის ცოლმა შეჰქმნა წივილ-კივილი. ავაზაკთ ფანჯარიდან ორი თოფი დაახალეს სახლში მყოფთ. დიასახლისის შუბლი მცირედ გაკაწრა ტყვიამ. ამ ოთახის გვერდზე მარანში იწვა ლუხიტაშვილის უმცროსი ძმა 25 წლისა; ამან შეურჩია დრო, შიგნიდან ესროლა თოფი და ერთ ავაზაკს მარჯვენა ხელში მოარტყა. თოფი მსხვილის საფანტით იყო გატენილი და ახლო მანძილზე ნასროლმა ავაზაკი მიწაზე დასცა. ამხანაგებმა დაავლეს ხელი დაჭრილს და გაიტაცეს. ამასობაში მეზობლები გამოვიდნენ. მდევრად-კი არავინ წასულა. დაჭრილი 3 საათი იქა გდებულა და მეოთხე საათზე წასულა ქვემოდ სოფლისაკენ. შეყრილ ხალხს სისხლზე კვალი გაუგნია და გამოსდგომია, დაუჭერიათ და იქვე დაუბრუნებიათ, სადაც დაიჭრა. დილაზე მოვიდნენ მაზრის უფროსი, გამომძიებელი, ექიმი და საერო დარაჯთა აფიცერი. დილის 6 საათზე მთელი თელავი ლუხიტაშვილის სახლთან შეგროვდა, რადგან თუმცა ს. კურდღელაურად იწოდება ეს ადგილი, მაგრამ თელავის ნაწილია, ამ 5-6 წლის წინად მოჰკვეთეს თელავს და სოფელს მიაწერეს. ჩამოართვეს ჩვენება დაჭრილს, აღმოჩნდა, რომ იგი კუნძოშვილია, მცხოვრები ს. გავაზისა, ამ რამდენისამე ხნის წინად საპატიმროდან გამოშვებული, 24 წლისა. 29 აპრილს საღამოს ის და მისი ამხანაგები, რიცხვით ექვსნი, შეყრილან კურდღელაურის ბოლოს ჯაგშანაშვილის ფარეხში. მოულაპარაკნიათ, რომ ლუხიტაშვილს 600 მან. ფული აქვს შინა და წავართვათო, რაც დაუკისრებიათ კუნძოშვილისა, ორკოდაშვილისა და ლაპაურისათვის. ეს სამნი დასცემიან ლუხიტაშვილის სახლს. როგორც ეტყობა, შვიდის კაცისაგან შემდგარი ავაზაკთა ბრბო ბევრს ნავნებს სჩადიოდა თელავსა და ახლო-მახლო სოფლებში. ბევრმა იქ მდგომთაგანმა იცნო კუნძოშვილი თავის ქურდათ, აგრეთვე ასახელებდნენ კისისხეველ ლაპაურს, რომელიც მეტად მოხერხებულია თურმე და ბევრს საქმეში ყოფილა გაბმული, მაგრამ ყოველთვის წმინდად გამოსულა. ნიშანი არა ჰქონდეთ სისხლისა, რომელიც ასე უხვად სდენია, დაჭრილს მკლავის კუნთები დაფლეთილი აქვს საფანტისაგან, კიდევაც თავს უშველიან. კახელებისთვის ეს თავდასხმა კარგი მაგალითია. ყველა ლუხიტაშვილივით მომზადებული უნდა იყოს, მტერს მტრულად დახვდეს და შესაფერი წინააღმდეგობა გაუწიოს.

ნადიკვრელი.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 მაისი

არიოლი. 3 მაისს, შუაღამეს, გაიარა სამხრეთისაკენ მოსკოვო-კურსკის რკინის გზით არიოლზე ხელმწიფე იმპერატორმა.

მუკდენი. 1 მაისს ლიაოიანიდან იუწყებიან, რომ ხუნხუზთა იმ ბრბოს გასაფანტავად, რომელიც დასავლეთისაკენ გამოჩნდა, გაგზავნეს ერთი როტა და თავისუფალ მეომართა ორი პატარა რაზმი. ხუნხუზები თოფის სროლის შემდეგ გაიქცნენ და ბრძოლის ველზე დასტოვეს 20 მოკლული. მრავალი იარაღი და პატრონა. ჩვენ ორი კაცი მოგვიკლეს და სამი დაგვიჭრეს.

ლონდონი. („რეიტ. სააგ.") რეიტერის სააგენტომ მიიღო ოფიციალური ცნობა, რომელშიაც ნათქვამია: ჩინეთის მთავრობა აუწყებს ყველა უცხო სახელმწიფოთა მთავრობას, რომ იმან, სამწუხაროდ, გაიგო იმის შესახებ გავრცელებული არასასიამოვნო ხმები, ვითომ ჩინეთის მთავრობა აღარ იცავდეს ნეიტრალიტეტს, რომელსაც შორეულ აღმოსავლეთში ომის დაწყებიდან დღევანდლამდე მტკიცედ იცავდა. ჩინეთის მთავრობამ შეატყობინა თავის წარმომადგენლებს საზღვარგარე: გადაჭრით უარჰყავით ეს ხმები და მთავრობათ შეატყობინეთ, რომ ჩინეთის მთავრობა, სულ ერთია, რა ამბებიც უნდა მოხდეს, მტკიცე ნეიტრალიტეტის პოლიტიკას დაიცავს.

ბერლინი. ინგლისის მეფემ აცნობა გერმანიის იმპერატორს, გეწვევი კილის დღესასწაულების დროსაო.

მოსკოვი. აგურის შენობათა გასავრცელებლად მოსკოვის ერობა სესხს აძლევს გლეხებს აგურის სახლების ასაშენებლად.

ლონდონი („რეიტერის სააგ."). საზოგადოებათა პალატა ინდოეთის საქმეების სტატს-სეკრეტარმა ბროდრიკმა შეკითხვაზე განაცხადა: „ინგლისის მთავრობამ ინდოეთის მთავრობას მიანდო, რომ იმან ტიბეტის ექსპედიციას მაშველი ჯარი გაუგზავნოს. ექსპედიცია ბრძანებას აღარ მოუცდის და, თუ მთავრობის დანიშნულ დროზე გიანცზეში ჩინეთის ამბანი და ტიბეტის წარმომადგენლები არ მოვლენ, ექსპედიცია წინ წავა.

სოფია. (ოპოზიციის წრეებიდან). მცოდნე წრეებში დარწმუნებით ამბობენ, რომ იმ დღის, როცა ბოლგარიის მთავარი ნიშაში იმყოფებოდა, არავითარ შეთანხმებაზე ხელი არ მოუწერია.

სულთანმა უნგრეთში გაგზავნა მუნირ ფაშა, რომელიც ბოლგარიის მთავარს ინახულებს და სულთანის საკუთარის ხელით დაწერილ წერილს გადასცემს.

ოსმალეთ-ბოლგარიის შეთანხმების განხორციელებისათვის დანიშნულმა კომისია საიდ ფაშის თავმჯდომარეობით სტამბოლში თავის საქმე შეუდგა. მიტროპოლიტი გენნადი იძულებულია მონასტერს თავი დაანებოს.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

„ტფილისის საკრებულოს" დარბაზში
ხუთშაბათს, 6 მაისს, დილის წარმოდგენა
ლიუმიერის სინემატოგრაფისა
ბავშვებისა და მოზრდილთათვის წარმოდგენილი იქმნება დიდი ფერია 11 მოქმედებად
დონ-კიხოტი
და მისი მსახური **სანჩო-პანჩო**
გარდა ამისა ბევრი სხვა შესანიშნავი ხელოვნური და კომიკური სცენა, რომელთა ხილვა სრულს ილიუზიას იძლევა. ადგილების ფასი 30 კაპეიკიდან 90-მდე.
დასაწყისი უთუოდ ნაშუადღევის 1-ლ საათზე.
ბილეთები ისყიდება საკრებულოს შვეიცართან.
(2—190—1) დირექცია ზუბნო-პარფი

მემკვიდრეები
ლუიზა დავითის ასულის მადერისა
ამით აუწყებენ **ლუდის ორთქლით მომუშავე ქარხნის** მუშტრებს, რომ ლ. დ. მადერის გარდაცვალების შემდეგ ქარხნის საქმეებში არავითარი ცვლილება არ მომხდარა და ქარხანა წინანდელის წესითა და საფუძვლით განაგრძობს მუშაობას. (1—6—1)

ჩემის ვაჭრობის მოსპობის გამო
ამა წლის 22 აპრილიდან ვნიშნავ უკანასკნელ გაყიდვას, საფაბრიკო ფასებზე დაბლა, ჩემს სამებელო მაღაზიაში, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ, ხაზინის გვერდით.
გადაჭრილი ფასებია დანიშნული.
ნაღდათ მყიდველებს ვთხოვ პირდაპირ მე მომმართონ.
(60—189—1) პატივისცემით ბ. გ. ბერიე

სამკურნალო ვანები და წყალსასხური
წყალსასხური ცხელი და ცივი. ტემპერატურა ყოველნაირი და 4 ატმოსფერის სიმძიმემდე. **წყლის სხურება შოტლანდიური, შარკოსებური** და სხვა გვარი. სავსე ვანები, ნახევარ ვანები; ვანები ჩასაჯდომი და ფეხთათვის სასურველ გრადუსისა. ჰაერ გამომშრალი და **ორთქლის ვანები** სხვა-და-სხვა ექსტრაქტებისაგან. წყლის გადავლება, დასველება და შეხვევა გერმანიაში ცნობილ ჰიდრაპატის **კნეიპისა** და სხვათა სისტემისამებრ.
ეს სისტემა მე შევისწავლე თვით კნეიპისაგან და მოწმობაც მაქვს იმისაგან მიღებული. ვანები და სხურება არჩენს **ქარებს, მოშლილ ნერვებს, ქსენას, მუცლის შეკვრას, სისუსტეს, თავის ტკივილებს** და სხვას. მოწყობილება საუკეთესოა და თვალ-ყურსაც თვითონ ვადევნებ. მოთავსებულია სახაზინო პალატის გვერდით; შესავალი ხაზინის ქუჩიდან. **გ. ე. ცოვიანოვი.** (10—164—6)

ფეხსაცმელი
ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,
მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,
აგრეთვე მსწრაფლ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში.
ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО
С.ПЕТЕРБУРГЪ
გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ტყავის საქონელი
რუსეთსა და საზღვარ-გარეთ დამზადებული, მრავლად არის
სავაჭრო სახლის
„ლეოპოლდ ნეიშელლერ"-ის საწყობში.
ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—6.—20)